შიდაქი

SHIRAKI

№43 (10.002)

20-27 ნოემბერი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ახალი სკოლა-ოზაანს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების მშენებლობა, რეაბილიტაცია და აღჭურვა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა მალე სოფელ სოფელ ოზაანში დაიწყება.

შენობის პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქ-ტურის განვითარების სააგენტოს მიმართულების მენეჯერმა არქიტექტორმა **გიორგი გაბიდაურმა** გააცნო .

“120 მოსწავლეზე გათვლილი ევროპული სტანდარტების შენობა ადაპტირებული იქნება შშმ პირებზე. სკოლას ასევე ექნება ღია ტიპის სპორტული მოედანი”- განაცხადა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და გიორგი გაბიდაური სოფელ ოზაანს ეწვივნენ და ის ადგილი დაათვალიერეს, სადაც უახლოეს მომავალში ახალი სკოლა აშენდება.

C M Y K

როგორ მიიღებენ ვაქცინირებული პენსიონერები მთავრობისგან 200-ლარიან დანამატს

ვაქცინირებულ ადამიანთა რაოდენობის გაზრდისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირების მიზნით, საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ვაქცინაციის წახალისებისთვის სხვადასხვა სახის კამპანია აწარმოოს.

მათ შორის, 60 წელს ზემოთ მოქალაქეებს, პირველადი აცრის შემთხვევაში, მთავრობა ერთჯერადად 200 ლარით დაეხმარება. საბჭოს გადაწყვეტილებით, პენსიონერები, რომლებიც 1-ელ იანვრამდე ჩაიტარებენ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციას, მთავრობისგან ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით საპენსიო დანამატს მიიღებენ.

დადგენილება 8 ნოემბერს შევიდა ძალაში. როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ლევან გოგოძე აცხადებს, პირველ ეტაპზე, რომელიც მოიცავს 8-15 ნოემბერს, დანამატის მიმღებ ადამიანთა მონაცემები მომსახურების სააგენტოს 15 ნოემბრის დღის ბოლოს გადაეცემა. 5 სამუშაო დღის განმავლობაში კი პენსიონერებს „ლიბერთი ბანკის“ საპენსიო ანგარიშებზე დაერიცხებათ 200 ლარი. დაანგარიშების მომდევნო თარიღი 1 დეკემბერი იქნება. რაც შეეხება 60-დან 65-წლამდე მამაკაცებს, რომლებიც საპენსიო ასაკს არ მიეკუთვნებიან, სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილებით, „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ყველა მათგანის სახელზე სოციალური ანგარიში გაიხსნება. ამრიგად, 60-65 წლის მამაკაცები კუთვნილი თანხის მიღებას „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში, პირადობის მოწმობით, ყოველგვარი საკომისიოს გარეშე შეძლებენ.

გამომდინარე იქიდან, რომ კამპანია 31 დეკემბრამდე გრძელდება და თარიღები საახალწლო დასვენების დღეებს ემთხვევა, 28-29-30-31 დეკემბერს აცრილი მოქალაქეები საპენსიო დანამატს უკვე 2022 წლის იანვრის დასაწყისში მიიღებენ.

60 წლის ან ზემოთ მოქალაქე, რომელიც უკვე აცრილია პირველი დოზით ან სრულად ვაქცინირებულია და „ბუსტერ დოზას“ იკეთებს, ერთჯერად დანამატს ვერ მიიღებს. 200 ლარს მხოლოდ ის პირები მიიღებენ, ვინც პირველადი დოზით 8 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით აიცრება.

ვის გაეზრდება ხელფასი და სოციალური დახმარება 2022 წლიდან?

„2022 წელს განათლებისა და მეცნიერების დაფინანსებაზე გამოყოფილია 2 091 000 000 ლარი“, — ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვერსიის წარდგენისას განაცხადა.

მისი თქმით, მუნიციპალიტეტების დაფინანსებით სკოლამდელ განათლებაზე მიიმართება 380 000 000 ლარზე მეტი, რომლის ფარგლებშიც, საბავშვო ბაღების პერსონალის ხელფასები 100 ლარით გაიზრდება.

„ზოგადი განათლების დაფინანსება შეადგენს 1 360 000 000 ლარს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში, გათვალისწინებულია: საჯარო სკოლებში სტატუსის მქონე მასწავლებელთა დანამატის ზრდა 100 ლარით, საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა, სკოლის მანდატურების ხელფასების ზრდა 100 ლარით, სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე მიიმართება — 160,8 მლნ ლარი, პროფესიული განათლების დასაფინანსებლად გამოყოფილია 119 მილიონი ლარი, მათ შორის პროფესიული კოლეჯების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართება 46 მილიონ ლარზე მეტი, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება შეადგენს 232 მილიონ ლარს“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა.

ამასთან, მინისტრის განცხადებით მიზნობრივი სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მომავალ წელს გამოყოფილია ერთ მილიარდ ლარზე მეტი.

როგორც მან აღნიშნა, დაფინანსების ფარგლებში მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება იზრდება 25 ლარით, ომში მონაწილე ვეტერანთა 22/44 ლარიანი დახმარება კი იზრდება 100 ლარამდე.

მისი თქმით, მიმდინარე წლის ივლისიდან გაორმაგებული, სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების სრული წლის განმავლობაში დასაფინანსებლად დამატებით გამოყოფილია 75 მილიონი ლარი, ბავშვთა ზრუნვის პროგრამების დაფინანსება შეადგენს 52 მილიონ ლარს.

მომავალ წელს მაღალმთიან დასახლებებში დაწესებული სხვადასხვა სოციალური პროგრამებისთვის გამოყოფილია 75 მილიონი ლარი, საპენსიო სქემაში სახელმწიფოს ვალდებულებების დასაფინანსებლად მიიმართება 250 მილიონი ლარი, მუნიციპალიტეტების მიერ დაფინანსებული სოციალური პროგრამების მოცულობა შეადგენს 280 მილიონ ლარს.

რეალურ პირობებში მართვის მოწმობის გამოცდის ჩაბარება 2022 წლის აპრილიდან სავალდებულო ხდება

პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ წარადგინა “საგზაო მოძრაობის შესახებ” კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი. კანონპროექტის მიხედვით, ცვლილებები შეეხება მართვის მოწმობის აღების გამოცდებს. დახურულ მოედანზე გამოცდის ჩაბარების გარდა, მართვის მოწმობის აღების მსურველს გამოცდის ჩაბარება რეალურ, ქალაქის პირობებშიც მოუწევს. ალექსანდრე დარახველიძის თქმით, ეს ცვლილება უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს მისცემს ქართული მართვის მოწმობების ევროპულ მართვის მოწმობებში გადაცვლის საშუალებას.

„აღნიშნული ცვლილებების [მართვის მოწმობის აღება რეალურ პირობებში] შემდეგ, ჩვენი საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეებისთვის ჩნდება საშუალება, რომლითაც შესაძლებელი იქნება ქართული მართვის მოწმობის ევროპული ქვეყნების მართვის მოწმობებში გადაცვლა... დახურულ მოედანზე გამოცდის ჩაბარებასთან ერთად, რასაც მართვის მოწმობის მსურველები დღეს გადიან, დამატებით მას მოუწევს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ მარშრუტზე რეალურ პირობებში გამოცდის ჩაბარება” — ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

როგორც დარახველიძე ამბობს, ახალი კანონპროექტის ფარგლებში, მოხდება გამოცდის პროცესის ვიდეო და აუდიო ჩაწერა.

„რათა არ გაჩნდეს რაიმე კითხვები გამოცდის პირობებში ჩვენ შემოგვაქვს რეგულაცია, რომლითაც მოხდება გამოცდის სრული ჩაწერა, აუდიო-ვიდეო გადაღება. თუკი გამოცდის შედეგები კონკრეტული მხარის მხრიდან გასაჩივრდება, მას საშუალება ექნება, რომ გაეცნოს გამოცდის ჩაბარების პროცესს” - თქვა დარახველიძემ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შეეხო მართვის მოწმობის ასაღები გამოცდისთვის გადასახდელი თანხის ოდენობასაც.

„ვინაიდან ხდება ახალი მომსახურების დაწესება, კანონში უნდა მოხდეს შესაბამისი ღირებულებების განსაზღვრა. ვინაიდან პრაქტიკული გამოცდის ახალი კომპონენტი დაემატა, განისაზღვრა, რომ B და BE კატეგორიისთვის ეს იქნება 90 ლარიანი გადასახადი, თუმცა დანარჩენი გადასახადი, რაც დაკავშირებულია თეორიულ გამოცდასთან და მის დახურულ სივრცეში ჩატარებასთან, ამ შემთხვევაში თანხა არ იზრდება და კვლავ 40 ლარი იქნება, რომლის სანაცვლოდაც ადამიანს, რომელსაც გამოცდის გავლა სურს, შეეძლება გაიაროს პრაქტიკული გამოცდა და დახურულ მოედანზე მისი ჩაბარების შესაძლებლობა 5-ჯერ ექნება. რაც შეეხება სხვა კატეგორიებს, რეალურ, ანუ ქალაქის პირობებში გადასახადი წესდება 150 ლარის ოდენობით და დაახლოებით 1 წლის განმავლობაში თუკი გამოცდას ვერ ჩააბარებს, მას საშუალება ექნება განმეორებით გავიდეს გამოცდაზე”. - დაამატა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

დარახველიძის თქმით, მართვის მოწმობის B და BE კატეგორიებზე რეალურ პირობებში გამოცდის ჩატარება სავალდებულო 2022 წლის 14 მარტიდან იქნება, ხოლო დანარჩენ კატეგორიებზე 2022 წლის 3 ოქტომბრიდან.

„რაც შეეხება რეალურ, ქალაქის პირობებში მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის გადატანას, B და BE კატეგორიებისთვის სავალდებულო იქნება 2022 წლის 14 მარტიდან, მანამდე ძველი წესი იმოქმედებს. სხვა ყველა დანარჩენისთვის 2022 წლის 3 ოქტომბრიდან” - თქვა ალექსანდრე დარახველიძემ.

ამავე კანონპროექტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მოპედებისა და საშუალო სიმძლავრის მოტოციკლების რეგისტრაციასთან და მათი მართვის მოწმობების აღებასთან დაკავშირებულ ცვლილებებსაც შეეხო.

„საგზაო მოძრაობის შესახებ” კანონში შესატან ცვლილებათა პროექტს პარლამენტი დღეს პირველი მოსმენით იხილავს.

„თეთრი ქარავნის ბილიკის“ მოწყობა დასრულდა

არხილოსკალოს ინტერპრეტირებული ტურისტული მარშრუტი „თეთრი ქარავნის ბილიკი“ მოეწყო. მისი განხორციელება მოხდა პროექტის „ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური და მდგრადი განვითარების მოდელის დაარსება კახეთის რეგიონში“ ფარგლებში, RECC-is (The Regional Environmental Center for the Caucasus) დახმარებითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

„თეთრი ქარავნის ბილიკი“ არის 1,4 კილომეტრიანი ინტერპრეტირებული ტურისტული მარშრუტი, რომლის ძირითად კონცეფციას წარმოადგენს ცხვრის გადარეკვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა.

მარშრუტში მოთხრობილია 15 წლის ახალგაზრდა მეცხვარის, ტატეს ისტორია, რომელიც შორეულ მიწებზე პირველად მოგზაურობს და ახალი კულტურის, გარემოსა და ხალხის შესწავლისა და შემეცნების დაუოკებელი სურვილი ამოძრავებს, სურს გამოსცადოს, აღმოაჩინოს და გამოიკვლიოს ის ისტორია და ყოფა, რომლის შესახებაც წინაპრებისგან და უფროსი თაობისგან გამუდმებით ესმოდა.

არბოშიკში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

სოფელ არბოშიკში შიდა საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, დავით ფხოველიშვილთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, სოლომონ ღორაშვილთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში აღნიშნული გზის 800 მეტრიან მონაკვეთზე დაიგება ასფალტის საფარი და მოეწყობა სანიაღვრე სისტემა.

სამუშაოების ღირებულება 474 178 ლარს შეადგენს.

„შირაქის“ ფოსტა

რედაქციაში პენსიონერების წერილი მოვიდა. ისინი “ლიბერთი ბანკის” დედოფლისწყაროს ფილიალის ხელმძღვანელობისგან ნიკორაციხის ქუჩაზე ბანკომატის დატოვებას ითხოვენ.

წერილის ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

ქალაქ დედოფლისწყაროს ელიის მხარეს და ე.წ. კამიშოვკის დასახლების მცხოვრები პენსიონერები იძულებულები ვართ, მოგმართოთ თხოვნით იმის შესახებ, რომ შეგვინარჩუნდეს ლიბერთი ბანკის ბანკომატი.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენს მხარეს, ნიკორაციხის ქუჩაზე 44 ნომერში „ლიბერთი ბანკს” დადგმული ჰქონდა ბანკომატი, რომლითაც ვსარგებლობდით ამ მხარეს მცხოვრები პენსიონერები პენსიის აღების დროს. გარდა იმ ფაქტისა, რომ ბევრ პენსიონერს შორ მანძილზე გადაადგილება უჭირს, ეს ბანკომატი სხვა პრობლემასაც გვიგვარებდა, კერძოდ: სხვა ბანკომატებში პენსიის ასაღებად მისულებს საათობით რიგში გვიწევდა დგომა, აქ კი 10-15 წუთში ვიღებდით, სხვა ბანკომატებში ფული არ იყო, აქ კი მაგისი პრობლემა იშვიათად თუ გვაწუხებდა.

ამჟამად აღნიშნული ბანკომატი გაჩერებულია. გვეუბნებიან, რომ საერთოდ უნდა აიღონ და სხვაგან წაიღონო. ეს ფაქტი ცუდად იმოქმედებს ჩვენზე, ძალიან გაგვიჭირდება პენსიის აღება.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენტურობის ფარგლებში, იქნებ ჩაერიოთ და სთხოვოთ “ლიბერთი ბანკის” ხელმძღვანელობას პენსიონერების სახელით, რომ დატოვონ აღნიშნული ბანკომატი და არ წაიღონ სხვაგან.

პატივისცემით:
1.გიორგი ფიროსმანაშვილი
2.კუკური ოზაშვილი
3.მარინა კობაიძე
4.გელა ბენაშვილი
5.ნათელა გოგიშვილი
6.თამილა გონიაშვილი
7.შალვა ძნელაშვილი
8. ამბაკო შამანიძე
9.ქეთევან გოგოჭური
10.არსენა ღუდუშაური
11.ციცინო წიკლაური
12.ხვთისო წიკლაური და სხვები.

p.s. იმედია, “ლიბერთი ბანკის” ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს პენსიონერების თხოვნას და ბანკომატს შეუნარჩუნებს.

მედიკამენტების ფასის რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს

მედიკამენტების ფასის რეგულირებასთან დაკავშირებულის საკითხები განიხილეს ჯანდაცვის სამინისტროში. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრას სამინისტროსა და რეგულირების სააგენტოს ხელმძღვანელი პირები, კონკურენციის სააგენტოს, პარლამენტის და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ აღნიშნა, რომ წამლის ფასი მოსახლეობისთვის ძალიან დიდ ტვირთს წარმოადგენს და ჯანდაცვის სამინისტრო აღნიშნული პრობლების აღმოსაფხვრელად აქტიურ რეჟიმში იწყებს მუშაობას.

„დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მთავარი მიზანი იყო როგორც წამლის ხარისხი, ასევე წამლის ფასი, რომელიც უკვე წლებია ძალიან დიდ ტვირთს წარმოადგენს ჩვენი მოსახლეობისთვის და ასევე, ზოგადად ჯანდაცვის სისტემისთვის. ამასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროში მუშაობა 2019 წლის შემდეგ მიმდინარეობს. აქტიურად არის ჩართული ჯანდაცვის კომიტეტი, რომელიც მუშაობდა წამლის კანონის ნაწილზე, ასევე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, რომელმაც შეისწავლა ბაზარი და დადო არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ამასთან მიმართებაში.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო დაგვენახა ამ ბაზრის პრობლემა სხვა ჭრილში და აქედან გამომდინარე ჩავრთეთ კონკურენციის სააგენტო, რომელმაც უკვე დაასრულა თავის ხედვებზე მუშაობა, მათ აქვთ მკაფიო 11 რეკომენდაცია. დღეის შემდეგ ჩვენ, სამუშაო ჯგუფების ფორმატში, გავაგრძელებთ უკვე თითოეული მხარის მხრიდან დანახული პრობლემატიკის შეჯერებას და ამის მიხედვით უკვე გავიტანთ იმ მნიშვნელოვან კანონს, რომელიც აისახება ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაზე, როგორც წამლების ფასის, ასევე ხარისხის კუთხით“, - განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

შეხვედრას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონალური დირექტორიც სილვიუ დომენტე ესწრებოდა.

სილვიუ დომენტემ განმარტა, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ფინანსური ანალიზის მიხედვით, მოსახლეობის ჯიბიდან გადახდების 70% სწორედ მედიკამენტებზე მოდის.

„მედიკამენტების ფასი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია არამარტო საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში და გლობალურად. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ფინანსური ანალიზი გააკეთა, რამაც აჩვენა, რომ მოსახლეობის ჯიბიდან გადახდების ძალიან დიდი ნაწილი სწორედ მედიკამენტებზე მოდის. ასევე შევისწავლეთ მედიკამენტების შესყიდვისა და მომარაგების ნაწილი. მედიკამენტების ფასის რეგულირება პირველ ეტაპზე, რა თქმა უნდა საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს, აქედან გამომდინარე ჯანდაცვის სამინისტროსა და პარლამენტს ჯანდაცვის კომიტეტთან ერთად მოსამზადებელი სამუშაოები დავიწყეთ, რაც ფასისა და ხარისხის დარეგულირებას ისახავს მიზნად და თანხვედრაშია ევროპის კანონმდებლობასთან“, - აღნიშნა „ჯანმო“-ს რეგიონალურმა დირექტორმა.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე აღნიშნავს, რომ სააგენტოს მიერ მომზადებული 11 რეკომენდაციის მიზანი სწორედ, მომხმარებლის მხრიდან, მედიკამენტებზე გაწეული დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირებაა.

„მადლობა დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შეხვედრის ორგანიზებისთვის, ყველა დაინტერესებულ მხარეს ჩართულობისთვის, მხარდაჭერისთვის. ჩვენ გამოვთქვამთ მზადყოფნას, დარგის ექსპერტებთან, დაინტერესებულ პირებთან, ბაზარზე მოქმედ კომპანიებთან, დარგის მარეგულირებელთან ერთად განვიხილოთ, ჩავერთოთ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციები შესაბამისად აისახოს საკანონმდებლო ცვლილებებში,“ - განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი ხუნდაძის თქმით, წამლის ფასის რეგულირების ნაწილზე მუშაობა ერთ წელზე მეტია რაც მიმდინარეობს.

„ჩვენ მოვახდინეთ არსებული საკანონმდებლო ბაზის რევიზია, რომელიც ამ მიმართულებას არეგულირებს. ეს კანონმდებლობა არის 2009 წელს მიღებული და მოძველებული. ამიტომ ჩვენ, როგორც ადგილობრივ, ასევე ევროპელ ექსპერტებთან ერთად შევიმუშავეთ ახალი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც იქნება უფრო მეტად დახვეწილი და ის უზრუნველყოფს, რომ ამ სექტორში ბაზარი იყოს დარეგულირებული და გახდეს შესაძლებელი, რომ მედიკამენტი ქვეყანაში იყოს ხარისხიანი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი“, - აღნიშნა დიმიტრი ხუნდაძემ.

შეხვედრაზე მოხდა სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება, რომელიც წამლის ფასის რეგულირებასთან დაკავშირებით კონკრეტულ ინიციატივებს შეიმუშავებს, რასაც საბოლოოდ საკანონმდებლო სახე მიეცემა. პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.

Georgia e-Health — რა არის და როდიდან ამოქმედდება ქართული Covid-აპლიკაცია

უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ოპერაციული შტაბის უფროსის, გიორგი ღიბრაძის თქმით, საქართველო მიუერთდა ციფრული კოვიდ-პასპორტების ერთიან სივრცეს, რომელშიც ამ მომენტისთვის განევრიანებულია 49 ქვეყანა. შესაბამისად, საქართველოს მიერ გაცემული კოვიდ-სერტიფიკატები ვაქცინაციის, ინფექციის გადატანის და PCR ტესტირების შესახებ, ევროკავშირის ერთიან სივრცეში ჩაერთვება. გიორგი ღიბრაძის ცნობით, კოვიდ-სერტიფიკატით სარგებლობისთვის, მოქალაქეებს app store-დან და google store-დან შესაბამისი აპლიკაციის გადმოწერა შეუძლიათ, სახელწოდებით - Georgia e-Health.

„დასრულდება ყველა ტექნიკური სამუშაო ამ დაერთებასთან დაკავშირებით და 17 ნოემბრიდან ჩვენ უკვე სრულფასოვნად ვიქნებით ჩართული ერთიან სისტემაში. იმისთვის, რომ ვისარგებლოთ ამ კოვიდ-სერტიფიკატით, შეგვიძლია გადმოვწეროთ app store-დან და google store-დან შესაბამისი აპლიკაცია, რომელსაც ჰქვია Georgia e-Health, გავიაროთ საკმაოდ მარტივი რეგისტრაცია და ყველა ინფორმაცია ჩვენს შესახებ, რომელიც უკავშირდება ჩვენს ვაქცინაციას, PCR ტესტირებას და კოვიდ-ინფექციის გადატანას, ავტომატურად გაჩნდება ჩვენს ტელეფონებში. ამ აპლიკაციის მეშვეობით, რომელიც წამოიღებს ჩვენს QR კოდებს, შევძლებთ ჩვენი სტატუსის დადასტურებას“, - განაცხადა გიორგი ღიბრაძემ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არ იქნება კორონავირუსის გადატანის ვადაზე შეზღუდვა ისე, როგორც სხვა ქვეყნებშია. „იყო მოსაზრება, რომ გადატანილებზე ყოფილიყო ექვსთვიანი შეზღუდვა, მაგრამ ჩემი რეკომენდაცია იყო, რომ ეს შეზღუდვა მოგვეხსნა და საბჭომ გაიზიარა, ამიტომ, მწვანე სტატუსი ექნება პირს, ვისაც გადატანილი აქვს კორონავირუსი“ - განაცხადა პრემიერმინისტრმა. ჩოვიდ-ბარათებს მატერიალური სახით, ხელმოწერით და ბეჭდით იუსტიციის სახლებში მიიღებთ, ასევე, ნებისმიერ იმ დაწესებულებაში, რომელიც ტესტირებას ან/და აცრას აკეთებს. ამისთვის მხოლოდ პირადობის მოწმობა გჭირდებათ. ჩოვიდ-ბარათში ასახულია როგორც ვაქცინაციის გაკეთების დრო და ადგილი, ასევე, ვირუსის გადატანის და ჩატარებული ჩოვიდ-ტესტირების შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, მოქალაქეებს ვებგვერდიდან - ჩოვიდპასს.მოჰ.გოვ.გე პირადი მონაცემების შეყვანის შემდეგ შეუძლიათ შტრიხკოდის სახით საკუთარი ჩოვიდ-სტატუსის ჩამოწერა. რამდენიმე დღეში ჩაეშვება სპეციალური აპლიკაცია, ის ახლა ტესტირების რეჟიმშია.

„ეს აპლიკაცია დაკავშირებულია ჩვენს, დაავადებათა კონტროლის ცენტრის ორ ბაზასთან: იმუნიზაციის ბაზა და ჩოვიდლაბ ბაზა, სადაც ყველა დიაგნოსტირებული ანუ ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა ფიქსირდება. სწორედ ამ ბაზებიდან ამოიღებს აპლიკაცია ინფორმაციას“ - ამბობს NCDC-ის დირექტორი, ამირან გამყრელიძე.

მობილურ აპლიკაციაში განთავსდება კერძო პირის მწვანე სტატუსი, რაც მოიცავს:

- ვაქცინაციის სტატუსს
- PCR ტესტების ჩატარების ისტორიას
- ანტიგენ-ტესტის ჩატარების ისტორიას
- SARS-CoV-2-ით ინფიცირების ისტორიას

ასევე გიორგი ღიბრაძის თქმით, რადგან საქართველო ერთიან ელექტრონულ კოვიდსივრცეს 17 ნოემბრიდან შეუერთდება, აქამდე აღებული კოვიდპასპორტები არ იქნება ასახული ერთიან სისტემაში. **„კოვიდპასპორტები ვალიდური იქნება მხოლოდ ხვალიდან, ანუ 17 ნოემბრიდან. სამწუხაროდ, ადრე გაცემულ კოვიდპასპორტებზე სისტემა არ ვრცელდება, ამიტომ სისტემაში მხოლოდ ხვალიდან გაცემული კოვიდპასპორტები იქნება ასახული. იმ პირებმა, ვინც საზღვარგარეთ აპირებენ გამგზავრებას, აუცილებლად უნდა განაახლონ კოვიდპასპორტი“** - ამბობს გიორგი ღიბრაძე. მისი თქმით, იგივე მოთხოვნა ვრცელდება ყველა იმ ცნობაზე, რომლებიც გაცემულია ამცრელი ან ტესტირების დაწესებულებების მიერ.

ევროკომისიამ საქართველოს კოვიდ-პასპორტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო

ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კოვიდ-პასპორტების აღიარების შესახებ. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, შესაბამისი დოკუმენტი კომისიის ვებ-გვერდზე ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ვაქცინაციის სრული კურსის ჩატარების სერთიფიკატს, შეძლებენ ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაადგილებას.

საგარეო უწყების ცნობით, საქართველოს მიერ გაცემული კოვიდ-სერტიფიკატი ვაქცინაციის, ტესტებისა და კოვიდისგან გამოჯანმრთელების შესახებ აღიარებულია ევროკავშირის მიერ და გათანაბრებულია ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციით გაცემულ სერტიფიკატებთან, რომლის მიზანიცაა ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა ევროკავშირის ტერიტორიაზე. ევროკომისიის გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და ასევე, ასკვნის, რომ საქართველო უერთდება ევროკავშირის ციფრული კოვიდ-სერტიფიკატის სისტემას.

ევროკომისიამ საქართველოსთან ერთად მოლდოვას, სერბეთის და ახალი ზელანდიის კოვიდ-პასპორტებიც აღიარა.

საქართველოში ვიზიტით ნატო-ს გაერთიანებული ძალების საწვრთნელი ცენტრის ახალი მეთაური იმყოფებოდა

საქართველოში სამუშაო ვიზიტით ნატო-ს გაერთიანებული ძალების საწვრთნელი ცენტრის (JFTC) ახალი მეთაური,გენერალ-მაიორი ნორბერტ ვაგნერი იმყოფებოდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ვიზიტი მიზნად ისახავდა საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების, განსაკუთრებით, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) ფუნქციონირებისა და თანამშრომლობის სამომავლო გეგმების გაცნობას.

გენერალ-მაიორ ნორბერტ ვაგნერს ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) მასპინძლობდა.

„ვიზიტის ფარგლებში ნატოელმა გენერალმა შეხვედრები გამართა თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილეებთან, გენერალ-მაიორ ზაზა ჩხაიძესა და ბრიგადის გენერალ ირაკლი ჭიჭინაძესთან. თავდაცვის ძალებისა და ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის ხელმძღვანელმა პირებმა JFTC -ის მეთაურს ვიზიტისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს. შეხვედრებზე საუბრის ძირითად თემებს საქართველოს თავდაცვის ძალებში მიმდინარე რეფორმები, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) შესაძლებლობების განვითარება და ნატო-სთან თავსებადობის გაზრდა, ასევე, 2022 წელს საქართველოში დაგეგმილი ნატოს-საქართველოს ერთობლივი სწავლების ორგანიზება წარმოადგენდა.

საქართველოში სამდღიანი ვიზიტის განმავლობაში, ნატო-ს გაერთიანებული ძალების საწვრთნელი ცენტრის მეთაური ვაზიანში საბრძოლო მომზადების ცენტრს (CTC) ეწვია. გენერალ-მაიორი ნორბერტ ვაგნერი საერთო საჯარისო ცენტრის ტერიტორიაზე უწყებათშორისი სწავლება „დიდგორი 21“-ის“ მიმდინარეობასაც გაეცნო და ვაზიანში სწავლების საველე კომპონენტი დაათვალიერა.

JTEC-მა პოლონეთში მდებარე ნატო-ს გაერთიანებული ძალების სასწავლო ცენტრთან (JFTC) მჭიდროდ თანამშრომლობა 2017 წლიდან მენტორული პროგრამის საფუძველზე დაიწყო. მენტორული ურთიერთობები JTEC-ის ნატო-საქართველოს 2019 წლის სწავლების წარმმართველი (ODE) ფუნქციის შესასრულებლად მომზადებას ისახავდა მიზნად. 2020 წელს JTEC-სა და ნატო-ს გაერთიანებული ძალების სასწავლო ცენტრს (JFTC) შორის პარტნიორობის შეთანხმება გაფორმდა.

დოკუმენტი ხელს უწყობს JTEC—ის, როგორც NATO-სთან აფილირებული ერთ-ერთი სრულფასოვანი საწვრთნელი ცენტრის განვითარებას“, - ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

უწყებათშორისი სწავლება „დიდგორი 2021“ დასრულდა

უწყებათშორისი სწავლება „დიდგორი 2021“, რომელიც საქართველოს მასშტაბით 14 ლოკაციაზე პარალელურად მიმდინარეობდა, მონაწილე უწყებების წარმომადგენელთა დაჯილდოებით დასრულდა. ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, „დიდგორი 2021“- ის საპატიო დაფები და კოინები მონაწილეებს თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა და სწავლების ხელმძღვანელმა, ბრიგადის გენერალმა ჯონი ტატუნაშვილმა გადასცეს.

„თავდაცვის ძალების მეთაურმა სწავლებაში ჩართულ მონაწილეებს პროფესიონალიზმის, აქტიურობისა და გამოჩენილი ინიციატივებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სწავლება მაღალ დონეზე აღსრულდა და დასახულ მიზანს უპასუხა.

საომარ და კრიზისულ სიტუაციაში სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავება და ურთიერთქმედების დახვეწა, ჰიბრიდულ გამოწვევებთან, მოწინააღმდეგის საინფორმაციო ზეგავლენის ოპერაციებთან და დეზინფორმაციასთან გამკლავება „დიდგორი 2021“-ის მთავარი მიზნები იყო. „დიდგორი 2021“ წელს მერვედ ჩატარდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით, მისი დაგეგმვისა და აღსრულების პროცესს პირველად სრულად ხელმძღვანელობდა თავდაცვის ძალები.

წლევანდელი „დიდგორი“ ბევრი სიახლით და მრავალფეროვნებით იყო გამორჩეული, მათ შორის მასში პირველად გათამაშდა საველე კომპონენტები, მოხდა რეზერვისტების გამოძახება და მათი საველე მომზადება, გაიმართა თავდაცვის ძალებისა და შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფის ერთობლივი საველე წვრთნები, რეალურად გათამაშდა ლოჯისტიკური მხარდაჭერის ელემენტები, სწავლებაში პირველად გამოიყენეს ახალი სიმულაციური სისტემები VBS3.

მომავალ წელს სწავლებაში რეალურად მიიღებენ მონაწილეობას სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელი პირები”, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

თავდაცვის მინისტრმა ევროპაში აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაურს უმასპინძლა

საქართველოში პირველი სამუშაო ვიზიტით ევროპაში აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალების სარდალი იმყოფება. ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გენერალ-მაიორ დევიდ ტაბორს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა უმასპინძლა.

„ჯუანშერ ბურჭულაძემ ამერიკულ მხარეს განგრძობითი, მრავალმხრივი და მზარდი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. გენერალ-მაიორ დევიდ ტაბორის საქართველოში ვიზიტი აშშ-ის თავდაცვის მდივნის ლოიდ ოსტინის ვიზიტისას ორი ქვეყნის თავდაცვის უწყებებს შორის გაფორმებული საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივის განხორციელების პრაქტიკულ ნაბიჯს წარმოადგენს და საქართველოს სპეციალური ოპერაციების ძალების შემდგომ განვითარებას ისახავს მიზნად, რაც ტოტალური თავდაცვის ფარგლებში ქვეყნის მედეგობისა და წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობების განვითარებას ემსახურება.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ასევე განიხილეს თავდაცვის ძალებში მიმდინარე და დაგეგმილი მოდერნიზაციის პროცესი და საქართველო-აშშ-ს შორის თავდაცვის სფეროში მიმდინარე ერთობლივი პროექტები.

დღესვე, გენერალ-მაიორი დევიდ ტაბორი საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს, გენერალ-მაიორ გიორგი მათიაშვილს შეხვდა. მხარეებმა ყურადღება საქართველოსა და აშშ-ის ევროპის სარდლობას შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობაზე გაამახვილეს და იმედი გამოთქვეს, რომ მომავალში თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება. გენერალ-მაიორ გიორგი მათიაშვილის განცხადებით, ევროპაში აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალების მხარდაჭერა, ერთობლივი სწავლებები და აქტივობები საქართველოს სპეციალური ოპერაციების ძალების განვითარებისა და მოდერნიზაციის პროცესში არსებითი მნიშვნელობისაა”,- აღნიშნავენ უწყებაში.

„ჩემი სული ყვავილივით მომქონდა შენთვის“

16 ნოემბერი - გოდერძი ჩოხელის გარდაცვალების დღეა!

კინორეჟისორი, მწერალი და სცენარისტი - ანდაც უბრალოდ, ყველასთვის კარგად ნაცნობი, საყვარელი და ძვირფასი სევდის შემგროვებელი, გოდერძი ჩოხელი, 2007 წლის 16 ნოემბერს ემშვიდობება ამ ქვეყანას და მარადიულ სასუფლეველში ინაცვლებს, თავისი სევდით, გულისხმიერებითა და სიყვარულით სავსე უბრალოებით. უბრალოებით, რომელიც ქმნიდა შედევრებს და „სააშკარაოზე გამოჰქონდა“ ადამიანის სულის სიღრმე, მისი ზნე და ქცევა, რომელსაც ყოველთვის ერთ რამეს „უპირისპირებდა“ - სიყვარულს, სიყვარულსა და მხოლოდ სიყვარულს!

მის ჯილდოებზე, გამოცემულ წიგნებზე, მოთხრობებზე, ფილმებზე და ბიოგრაფიაზე რომ აღარ შევჩერდეთ, პირდაპირ იმ ამონარიდებს შემოგთვაზებთ, რომლებსაც ადამიანის შეცვლასთან ერთად, სამყაროს უკეთესობისკენ შემოტრიალებაც შეუძლია. უბრალოდ, უნდა წავიკითხოთ, გავიაზროთ, ყური მივუგდოთ ყოველი წარმოთქმული სიტყვის ექოს და მივხვდებით, რომ ადამიანი ამოუწურავი სევდისა და სიყვარულის ერთობაა, რომელ ერთობაშიც თითოეული საკუთარ თავს პოულობს.

ადამიანთა სევდა

„ახლა ყველა ადამიანი მოთხრობა მგონია და ყოველ მათგანს სათაურს ვუძებნი.“

„დედამიწა არის მზითა და მთვარით განათებული დიდი წიგნი, სადაც უამრავი ცოცხალი მოთხრობა დადის.“

„სიკვდილი ისევე ალამაზებს სიცოცხლეს, როგორც მზე და მთვარე ალამაზებს წყვდიადს.“

„სანთელი შალის გულზე არ აინთება და კაცი კიდევ ძაღლის გულით ვერ იკაცებს...“

„- სიკვდილისა გეშინია?

— რატო მეშინია?!

— რატომ არა?

— იმიტომა რომა, სიკვდილი ვალია, უნდა მოიხადოს კაცმა თავისი ვალი.“

„ქალის სიყვარული დასაწყისია იმ დიდი სიყვარულისა, რასაც მარადიული სიცოცხლე ჰქვია.“

„ეეჰ, დედამიწავ! გაგისკდებოდა გული, რომ იცოდე, რა სევდას მგვრის, როცა შენს ბეჭებზე შავად ჩაცმულ ქართველ ქალს ვხედავ.“

„- რა გადარდებს?

— მარტოობა მადარდებს. ადამიანი ხშირად ხალხშია, მაგრამ მაინც მარტოდ გრძნობს თავს. ზოგჯერ თავის თავიც ეუცხოება, საკუთარ თავს გაურბის. რატომ ხდება ეს? არ ვიცი. საიდან მოვედი ან სად მივდივართ? არც ეს ვიცი.“

„- რა არის სიცოცხლე?

— სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

— სიკვდილი?

— სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა.“

წითელი მგელი

„თანდათან მგლების ხროვას ემსგავსება კაცთა მოდგმა.“

„რაა სიკვდილი? — ზოგისთვის წამი, ზოგისთვის მთელი ცხოვრება. ზოგი დაბადებიდან გრძნობს თანდაყოლილ სიკვდილს და მანამდე აწვალებს ამის შიში, სანამ სულ — ხორცი არ გაეყრება ერთიმეორეს.“

„ხშირად გარბიან ადამიანები იქიდან, სადაც სიკვდილი ეგულებათ და იქით კი მირბიან, სადაც სინამდვილეში ელოდება ის.“

თევზის წერილები

„თქვენ გინდათ თავისუფლება და ჩიტად ყოფნას იმიტომ ნატრობთ? მერედა თუ გიყვართ, რატომ იმონებთ ერთიმეორეს. თავისუფლება კი არა, უფრო მეტად ერთიმეორეს დამონება და დამცირება გიყვართ.“

სიყვარულის ცეცხლი

„ადამიანები იმიტომაც ბერდებიან, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, თანდათანობით აკლდებათ სითბო: მშობლების სითბო, შვილების სითბო, შეყვარებულის სითბო, მეგობრებისა და ახლობელი ადამიანების სითბო და რაც მთავარია, იმედის სითბო. ადამიანს, დაბადებიდან, სულ თან დაჰყვება იმედის სითბო, ფიქრობს, რომ ერთხელაც იქნება... მაგრამ რაკი ის რაღაც ამ ქვეყანაზე თურმე არ ხდება, ნელ — ნელა, რაც წლები გადის, თანდათან ქრება იმედის სითბო და მართალია სიკვდილამდე მაინც ღვივის მისი ნაპერწკლები ადამიანის სულში, მაინც საზარელია სიმარტოვის ჟამს საიდანღაც მონაქროლის ამაოების ქარი.“

„სიყვარულთან ერთად, თუ სიყვარულის გარდა ამ ქვეყანაზე არსებობს ბედისწერა, რომელიც ყველაფერს თუ არა, თითქმის ყველაფერს განაგებს ადამიანის ამქვეყნურ შარაგზაზე, ზოგისთვის რომ მართლა შარაგზა არის და ზოგისთვის კი, მიხვეულ — მოხვეული, ეკლიანი ბილიკი. სიყვარული კი ისეთი ღვთიური გრძნობაა, გინდა შარაგზაზე იდგე და გინდა მიხვეულ — მოხვეულ, ეკლიან ბილიკზე, ამ გრძნობას უიღბლოს ვერ უწოდებ, იმიტომ რომ ის სიყვარულია!!!“

„როცა გზაზე ადამიანები ხშირად აღარ დადიან, გზამაც მოწყენა იცის. თანდათან ბელტდება და ვიწროვდება. მერე კი სულაც ნაგზევი ხდება და ემატება იმ სიტყვებს, როგორიცაა: ნასოფლარი, ნასაყდრალი, ნასახლარი, ნაფუძარი, ნაცოლარი, და ვინ იცის, კიდევ რამდენი სიტყვა შეემატოს ამ სიტყვებს, ვინ გაიგებს, როგორ ქარს წამოუბერავს ზენაარი დედამიწაზე, თუ ადამიანები საერთოდ დაივიწყებენ ისეთ სიტყვას, როგორიცაა — სიყვარული!“

9 შეკითხვა სიყვარულის შესახებ

„- რა ჰქვია?

— ვის?

— შენს შეყვარებულს.

— არ ვიცი.

— როგორ, სახელი არ იცი?

— არა, მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი და ისიც შორიდან.

— როგორ ფიქრობ, რა არის სიყვარული?

— რავი აბაა! მე მგონი მარადიული მონატრებაა. . .“

„- რას იტყვით, რა არის სიყვარული?

— არ გაგიგონიაა, შიში შაიქმს სიყვარულსაო, ასპროცენტიანი ეგრეა; რა ვქნა უშვილო გამამადგა, მაგრამ ისეთი ძმები ჰყვა რო პირდაპირ კაციმჭამლები, მიყორს მა რა ვქნა, თავზეით რო ძალა აღარ არის, რას იზამ?

— შვილების სიყვარულზე რას იტყვით?

— აი, იმათ ენაცვალოთ მამა, აგრეე!

— ხომ ნახულობ?

— არა, ალიმენტ უგზავნი.“

„- ბებოო?

— რაო, შვილო?

— სიყვარული რა არის?

— სიყვარული არა ხაარ, მა რა ხარ ბებო გენაცვალოს!“

„სიყვარულის რაობისათვის ხომ იმდენივე კითხვა შეიძლება დაისვას, რამდენი ადამიანიც არის ქვეყანაზე. ალბათ ყველა პასუხი მართალი იქნება შეკითხვაზე, თუ რა არის სიყვარული. მართალი იქნება იმიტომ, რომ ყველა თავისებურად ხედავს მას, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაურკვეველი დარჩება, რადგან თვითონ ცვალებადი და გაურკვეველი ბუნებისაა სიყვარული.“

„სიყვარული ისეთ ბუნებისაა, დამტკიცებას არ საჭიროებს, იგი თვითონ მტკიცდება იქ, სადაც ფეხს დაადგამს!“

ანგელოზთლამპრობა

— შენ რომ სთხოვე ღმერთს, იმიტომ შეწყვიტა სეტყვის ჩამოყრა ციდან, ხო, დედიკო? — დარწმუნებულმა მაინც ვკითხე დედას.

— ხო, შვილო, დაილოცოს ღმერთის განგება.

— მუხის დედამ არ სთხოვა? — ვკითხე ისევ და დანანებით გავხედე მუხას, გულიდან რომ ცეცხლი ამოსდიოდა, — რატომ არ სთხოვა, დედი, მუხის დედამ, ჩემს შვილს ცეცხლი არ მოუკიდოო, ჰა?!

— დედა აღარა ჰყავს მაგ მუხას და იმიტომ, შვილო.

— ვინ მოუკლა?

— კაცმა.

— რომელმა კაცმა?

— ცულიანმა?

— მერე შენ რატომ არ სთხოვე, დედი, რომ მუხასაც არაფერი დაუშაოო, შენ ხომ ყველაფერს გიჯერებს ღმერთი, არც მუხას ესროდა მეხს.

— რა ვიცი, ველარ მოვიფიქრე, შვილო, — დანანებით თქვა დედაჩემმა და მე უფრო მაგრად დამწყდა გული, რომ ეს ვერ მოიფიქრა დედაჩემმა.

„მინდა ყველას გითხრათ, რომ ყველა დედა ამქვეყნიური ანგელოზია და ვისაც ცოცხალი გყავთ, ღმერთმა ყველას დიდხანს გიცოცხლოთ; ვისაც არა, ღვთის საუფლოში გაგინათლოთ. ამის სათხოვნელად ნამდვილად მივალ იმ ადგილზე, სადაც ღმერთი სურვილებს მისრულებდა ჩემს ბავშვობაში. ალბათ დედაჩემის სულიც შემეწევა და არ ჩამითვლის სიტყვის გატეხად.“

აფრენა

„- მე შეიძლება გავგიჟდე.

— რატომ?

— ზოგჯერ ისე ახლოს ვგრძნობ ჩემს მოთხრობებს, მეშინია, მართლა არ გაცოცხლდნენ.“

დევების ნასოფლარი

„მაღალო ღმერთო! ეს მოთხრობა აღსარებად ჩამითვალე და ისე ნუ გააფერმკთალებ დედა-შვილობის მადლს, ისე ნუ მოგვაკლებ სიყვარულს, რომ დევებს უფრო ვეცოდებოდეთ ჩვენი ჩადენილი ცოდვებისათვის, ვიდრე ჩვენ ერთიმეორე.“

მოლოდინივით მძიმეა მიწა

„გზა ვერ იტევს უკაცობას. გზა სავსე არის მოლოდინით და ხალხით. გზას პირველს სტკივა ქვეყნის სატკივარი. გზა პირველი მოელის შინმოუსვლელთ. გზას პირველ მოაქვს სიხარული:

მიწაზე ჯოხდაყრდნობილი დგას. გზაზე კი ათასობით ამვლელი და ჩამვლელი ჩადის. ვინ იცის, რამდენი ამისთანა გზა არის დედამიწაზე.

ხანდახან დაღლილ მუხლებს მოიკეცავს ხოლმე ცივ მიწაზე და მაშინ გრძნობს, რომ მოლოდინივით მძიმეა მიწა...“

ნატირალი

„კაცის ნასახლარს ნუ მანახვებ და ნუ გახდება საქართველო ნახევრის — ნახევარი. და შენ, კუზიანო დედამიწავ, რამდენიც გენებოს, იტრიალე!“

სხვა ნაწარმოებები

„ცას ვარსკვლავებით იცი რა აწერია? მე მოვდიოდი დასაბამიდან და ჩემი სული ყვავილივით მომქონდა შენთვის.“

„ბავშვები სუფთა იბადებიან, ადამიანებს მერე გვემღვრევა სული.“

„სანამ ცოცხალი ხარ, არ მოკვდები და თუ მოკვდი მერე აბა რისიღა უნდა გეშინოდეს. სიკვდილს იქით ხომ კიდევ უფრო დიდი სიცოცხლეა...“

„დედამიწაც ჩემი სულის გარშემო ბრუნავს.“

„ამქვეყნად მწერალზე ადრე არავინ ჭკნება, თუ მას არ უსმენენ. მეც მინდა ისეთი მწერალი ვიყო, თუნდაც ერთ ადამიანს მაინც არ დავუჭკნე საქართველოში.“

„მშვიდობით, ჯვარი გეწეროს, ღვთივ კურთხეულო სამყარო. ანგელოზები მეწვივნენ, სული ხორცს უნდა გავყარო. ერთსა გთხოვთ, ყველას, ნუ იტყვით, შენ ჩვენებური არ ხარო.“

„მე დავბრუნდები სიკვდილის მერე
ყვავილს მოგიტანთ საიქიოდან,
მოვიტან ღმერთის ლამაზ სიმღერებს
და თვითონ ღმერთის იმედს მოვიტან.
მე დავბრუნდები საიქიოდან
ბალახად მოვალ ნისლად და წვიმად,
წამალბალახა ყვავილს მოვიტან
რომ ვუმკურნალო ვისაც რა სტკივა.
მე დავბრუნდები საიქიოდან
მაღალი ღმერთის სუნთქვას მოვიტან,
მე დავბრუნდები თავისუფალი
სიკვდილისა და სიმარტოვისგან.
მე აღარ წავალ საიქიოში,
ყველგან ვიქნები: ქარში, წვიმაში,
ვიქნები მზეში, მზის ამოსვლაში,
ცისკრის ვარსკვლავთან ვივლი დილაში.
მე აღარ წავალ, სულ აქ ვიქნები
საუკუნიდან საუკუნეში,
მაღალი ღმერთის სუნთქვა ვიქნები
სიყვარულს დავთეს ყველას გულებში.
მე აღარ წავალ საიქიოში,
ვიქნები ქვეყნად დილის სიოში,
არაგვის ერთი ტალღა ვიქნები,
ტალღა ვიქნები მტკვარში, რიონში.
მე აღარ წავალ,
მე აღარ წავალ,
მე აღარ წავალ საიქიოში!”

აგრარულ საკითხთა კომიტეტი „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებზე მუშაობს

აგრარულ საკითხთა კომიტეტმა „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა გამართა, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" პარლამენტის პრესსამსახურიდან აცნობეს.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანის განცხადებით, კომიტეტმა ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის (ნააკის) ფარგლებში შეისწავლა, თუ რამდენად შესრულდა კანონი, პასუხობს თუ არა ის დასახულ ამოცანებს და ფერმერთა მოთხოვნებს.

„მოკვლევამ შეისწავლა და გააანალიზა კანონის მოქმედებისას გამოვლენილი შესაძლო ხარვეზები და მისი აღსრულებისა და ეფექტიანობის ხელშემშლელი ფაქტორებიც. პროცესში გამოიკვეთა, რომ კანონით დასახული მიზნები ფაქტობრივად არაა მიღწეული და კომიტეტმა დაიწყო მუშაობა „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" კანონის ახლებურად გააზრებაზე. ვფიქრობთ, რომ ეს კანონი უნდა იყოს მორგებული იმ ფერმერებზე, რომლებსაც სურთ გაერთიანება", - განაცხადა ნინო წილოსანმა.

მან შეხვედრის მონაწილეებს ის საკითხები გააცნო, რომელთა საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტა მოქმედ კანონს კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის.

კომიტეტში მიაჩნიათ, რომ უნდა მოხდეს მოქმედი კანონის ჰარმონიზება „მეწარმეთა შესახებ" კანონთან. რეფორმის მიზნებს შორისაა ისიც, რომ ასევე უნდა მოხდეს:

„სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" კანონის მიზნების დაზუსტება; სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული ბარიერების მოხსნა; „ერთი ფანჯრის პრინციპის" დანერგვა იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში; კოოპერატივის წევრებისათვის მეტი ავტონომიურობის მინიჭება; მეპაიის უფლებების დაცვის სათანადო გარანტიების დანერგვა; კოოპერატივების მიერ შექმნილი ასოციაციების სახელმწიფო მხარდაჭერა და მათზე უფლებების დელეგირება და ა.შ.

„ფაქტია, რომ ამ კანონმა იმ მიზანს ვერ მიაღწია, რაც კანონით იყო განსაზღვრული. კოოპერატივები ძირითადად მხოლოდ კონკრეტული დახმარების მიზნით იყვნენ შექმნილი და რეალურად მდგრადობა რამდენად ჰქონდათ, ამის დასტური ძალიან იშვიათ შემთხვევაში თუ მოვიპოვეთ. ამიტომ, ახლა ვაგრძელებთ პროცესს ნააკის შედეგად აღმოჩენილი შენიშვნები და რეკომენდაციები როგორ შეიძლება გარდაისახოს კანონში შესატან ცვლილებებში, რათა თავიდან მოხდეს კანონის მიზნების გააზრება და კანონი რეალურ შედეგებზე იყოს ორიენტირებული. სახელმწიფოს ვალდებულებაა მოქნილი საკანონმდებლო ჩარჩო შევქმნათ, რათა ფერმერები მაქსიმალურად დავაინტერესოთ და მათ გაერთიანების სურვილი გავუჩინოთ", - განაცხადა ნინო წილოსანმა შეხვედრის შემდეგ.

დღევანდელი შეხვედრა კანონის გაუმჯობესების მიმართულებით პირველ ეტაპს წარმოადგენს, შემდეგი შეხვედრა დაგეგმილია აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ახალი კორონავირუსის კიდევ ერთი მსხვერპლი

დედოფლისწყაროში, 5 შვილის დედა, 49 წლის ნატო ტოკლიკიშვილი კორონავირუსით გარდაიცვალა. მას დედოფლისწყაროს კოვიდ-კლინიკაში მკურნალობდნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კოვიდ-კლინიკის მენეჯერის ხათუნა აგლაძის განმარტებით, პაციენტის მდგომარეობა საავადმყოფოში გადაყვანისას უკვე რთული იყო და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

"პაციენტის მდგომარეობა შემოყვანისთანავე იყო რთული. ბოლოს გადავიყვანეთ მართვით სუნთქვაზე, მაგრამ გადარჩენა შეუძლებელი გახდა. სამწუხაროდ, ქალბატონი არ იყო ვაქცინირებული"- განაცხადა ხათუნა აგლაძემ.

პანდემიის დაწყებიდან დღემდე დედოფლისწყაროში 56 ადამიანია გარდაცვლილი. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მარიეტა გონაშვილის განცხადებით, ჩვენს მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსით გარდაცვლილთაგან მხოლოდ ორი იყო ვაქცინირებული, ისიც თითო დოზით.

კახეთში ეპიდემიოლოგიური ვითარება კვლავ რთულია. მედიკოსები მოქალაქეებს რეგულაციების დაცვისკენ და ვაქცინაციისკენ მოუწოდებენ.

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა



მ ი შ ი კ ო ბ ი კ ა შ ვ ი ლ ი

კიდევ ერთხელ და კიდევ მრავალჯერ 27 ნოემბერს მოგილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო უდროოდ სამუდამო სასუფეველში გადასახლებულო, სიცოცხლით გაუმაძღარო მიშიკო, ყოველ წელს გიყვებით შენგან დატოვებულ შენთვის ყველაზე მნიშვნელოვან ახალ სასიხარულო ამბებს, გვგონია, რომ ხმას მოგაწვდენთ და ჩვენგან შორს და შემჩნევლად შენც გაიხარებ და იზეიმებ. ამ ფოტოში შენი შვილის დაბადებას ხვდებოდი გახარებული და უზომოდ ბედნიერი. ახლა გვინდა გითხრათ, რომ უკვე შენს შვილს ყავს შვილი, შენი მოსახელე მიშიკო, გოლიათი და უსაყვარლესი ბიჭი, რითაც შენ უნდა ყოფილიყავი დღეს ყველაზე ბედნიერი კაცი. ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა, რომ არა ის შავი და დაუჯერებელი საშინელი დღე. ვინ და რატომ მოგისწრაფა სიცოცხლე, ჩვენო დიდო ტკივილო!

გილოცავთ დაბადების დღეს და ვეფერებით გაყინული ქვიდან შენს უდარდელად მომღიმარ სახეს.

მოუშუშებელი იარებით გამწარებული შენი ოჯახი

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

ი ლ ი კ ო შ ა რ ვ ა ძ ე

ცხრა წელი გავიდა იმ საზარელი და ავადმოსაგონარი 21 ნოემბრის სუსხიანი საღამოდან, რომელმაც თავდაყირა დააყენა ჩემთვის მთელი სამყარო. დღე, როცა მეხის გავარდნასავით გაისმა შენი ამქვეყნიდან მოულოდნელი წასვლის ამბავი 38 წლის ასაკში, ჩემო ილიკო. გაუსაძლისი ტკივილით გადაფურცლა დრომ უიშენობის ეს ცხრა წელი, თუმცა ვერ უმკურნალა სულის ტკივილსა და უსაზღვრო მონატრებას, განსაცდელთა შორის უსაშინლესი განცდაა, რაც მე მერგო წილად, ერთადერთი შვილი უცებ გაფრინდი და დამტოვე ასე უპატრონოდ. ამ დღის შემდეგ ჩემთვის ცხოვრებამ და არსებობამ აზრი დაკარგა. ჩემი ოჯახის იმედი აღარ მყავხარ, უშენოდ ჩაქრა ის ერთადერთი სანთელი, რომელიც სიცოცხლეს და ცხოვრების გზას მინათებდა.

ჩემო ილიკო, იმ გარდასულ დღეთა სინათლე და სინამდვილე მენატრება. შენი სუნთქვით გამთბარი, შენი ღიმილი მენატრება. შენ რომ მიღიმოდი, სულში მზე ამოსიოდა და გულში გაზაფხული იწყებოდა. სახლში რომ შემოხვიდოდი- „დეე, სადა ხარო!" - დამიძაცებდი, ახლა კი როგორ მენატრება ამ სიტყვების კიდევ ერთხელ გაგონება და შენი გულში ჩახუტება, ჩემო დედისერთა ბიჭო.

ძალიან მიკვირს, როგორ მითენდება და მიღამდება უშენოდ, ერტადრთი შვილის დამკარგავ დედას. ყველა ახლობელი და საყვარელი ადამიანი მანდ გყავს-მამა,ბებიები, პაპები და მხოლოდ დედა გაკლია, შვილო, ნუთუ არ გინდა, დედაც რომ იყოს შენთან, მეც წამიყვანე და დავიწყოთ ახალი ცხოვრება, იქნებ ვაშლიჯვრიდან ისევ გადავიდეთ წერეთელზე და გავაგრძელოთ ბედნიერი ცხოვრება ისე, როგორც ოცი წლის მანძილზე ვცხოვრობდით, მანამდე, ვიდრე მამაშნი დატოვებდა ამ ქვეყანას.

რა დავარქვა შენს სიკვდილს-ბედისწერა? იქნებ უბედურება!- მაგრამ არა, ამქვეყნად ყველაფერი ხომ უფლის ნებით ხდება შენი ამქვეყნიური ცხოვრების დაწყებაც და მოულოდნელად წასვლაც ერთ წამში ჯამრთელი ადამიანიც, ეს შენი ბედიწეტა იყო. ნუთუ ამ წუთისოფელში შენი ადგილი არ იყო, რა იქნებოდა, შენც გაგეხარა ამ ქვეყანაზე, ჩემო ნიავ-ქარივიღ მოუსვენარო ბიჭო.

შენ ძალიან სიტყვაძუნწი იყავი, არ გიყვარდა შენი პრობლემების სხვისთვის თავზე მოხვევა, მაგრამ შენს დედას რად უნდოდა რაიმეს თქმა, უთქმელადაც, შენი ხმის მიხვედრითაც კი ვგრძნობდი შენს სულიერ განწყობას და გულისტკივილს.

ჩემთვის სულ 2012 წლის 21 ნოემბერია, რა ვქნა, თუ წლები გადის კალენდარით, მას ვერ შევაჩერებ, რაც დრო გადის, მით უფრო მძაფრდება შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი და მონატრება, ჩემო შვილო.

ბევრი რამ მაქვს სათქმელი ამ ცხრა წლის მანძილზე, მაგრამ ვაი, რომ ვერ გაწვდენ ხმას, თითქოს ტრადიციულად მექცა ასე, გაზეთის ფურცლებიდან, საუბარი შენთან.

ბუნებაში არაფერი უკვალოდ არ იკარგება, შენი სიცოცხლეც და სიკეთეც გაგრძელდება შენს შილებსა და შვოლიშვილებში. შენ ძალიან ნაადრევად დატოვე ეს წუთისოფელი, ვერ მოესწარი შვილების გაზრდას, ნია ცამეტი წლის, ილიკო კი სამი წლისაც არ იყო, ჩემო ილიკო. ნიას რა დაავიწყებს შენს თავს, მაგრამ ილიკოს არ ახსოვხარ, ჩემო უიღბლო ბიჭო.. ამ ცხრა წელში დაიზარდნენ შენი შვილები. ნია უკვე დედაა პატარა ალექსანდრესი და შენ კი ბაბუა გახდი, ჩემო მარად ახალგაზრდა ბიჭო. მამა-შვილს ერთნაირი ბედი გქონიათ, შენმა შვილებმაც ბადრი ბაბუა სურათებით გაიცნეს და შენც ასე მოგიწია, შენი შვილთაშვილებიც სურათებიდან გაიცნობენ თავის ახალგაზრდა ბაბუას.

შენ არ მომკვდარხარ, ჩემო ილიკო, შენ უკვდავებაში გადაინაცვლე. ღმერთს ვთხოვ, ჩემმა ლოცვამ და ჩემმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს ცათა სასუფეველი.

მაპატიე, შვილო, რომ უშენოდ ვცხოვრობ და ვარსებობ ამ ქვეყანაზე.

ძალიან მენატრები, კურთხეული იყოს მონატრება, საუკუნოდ იყოს ხსენება შენი.

შენი მონატრებული დედა ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

თ ე ნ გ ი ზ გ უ მ ა შ ვ ი ლ ი

სპორტული სფერო დედოფლისწყაროში წარმოუდგენელია თენგიზ გუმაშვილის გარეშე. კაცი, რომელიც რკინის ქალამნებს ჩაიცვამდა, ქვას გახეთქავდა და მიზანს მაინც მიაღწევდა - ასეთად ვიცნობდით საქვეყნად ცნობილი სოციალისტური შრომის გმირის, ზაირა ალხანიშვილის შვილს, რომელსაც სიკეთის ქმნა ცხოვრებისა და საქმიანობის წესად ჰქონდა გადაქცეული.

გაოცებას იწვევდა ის უნარი, რომელიც ჩვენს ძვირფას მეგობარს ადამიანებთან ურთიერთობაში გამოარჩევდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ახლობლები ყველა სფეროში ჰყავდა. დასანანია, რომ ამ „ჯიგრიან" კაცს, ასე ნაადრევად, 72 წლისას ვემშვიდობებით. ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ თენგიზ გუმაშვილის გარდაცვალების გამო და გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ მისი ოჯახის წევრებს და დედოფლისწყაროელებს.

უახლოესი მეგობრების სახელით: ნიკოლოზ ბეიანიძე, ნანა ჭიჭინაძე, ნანა პოპიაშვილი, თამილა ნადირაშვილი, არსენა ბუჩუკური.

შვილები: მარინა, გია პოპიაშვილები; და ლია ფიროსმანაშვილი; დისშვილები: მიხა, მარიკა ალადაშვილები ოჯახებით იუწყებიან

თამარ ფიროსმანაშვილ-პოპიაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 13 ნოემბერს, ქ.დედოფლისწყაროში.

ნელი სულაშვილი, ომარი, გიორგი, მარიამ ალადაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ბაბულია ბენაშვილს, მარინა, მიშიკო სულაშვილებს მეუღლის და მამის

გივი (ბელურა) სულაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს ევდოშვილის ქუჩის მცხოვრებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ვალერი ლოლაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს- ლალი პოპიაშვილს, შვილების - შოთა და ლევან ლოლაშვილების ოჯახებს.

ტრაპიზონის ლიტერატურულ ფესტივალზე, ტარიელ ხარხელაურს ფესტივალის უმაღლესი ჯილდო გადაეცა

ტრაპიზონში, რიგით მეხუთე ლიტერატურულ ფესტივალზე, ქართველ პოეტს ტარიელ ხარხელაურს ფესტივალის უმაღლესი ჯილდო „პოეზიის ცოცხალი ლეგენდის" ორდენი გადაეცა.

ორგანიზატორების ინფორმაციით, თურქეთის რესპუბლიკის ტრაპიზონის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის საზოგადობა „უთEჭ"-ის და შავი ზღვის მწერალთა კავშირის ინიციატივით, ტრაპიზონში რიგით მეხუთე ლიტერატურული ფესტივალი გაიხსნა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ 18 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის: იტალიიდან, ირანიდან, იაპონიიდან, აზერბაიჯანიდან და სხვ.

„აღსანიშნავია, რომ წლევანდელი ფესტივალი საქართველოს და გამოჩენილ ქართველ პოეტს ტარიელ ხარხელაურს მიეძღვნა. 12 ნოემბერს ტრაპიზონის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის ორგანიზატორთა მიერ საქართველოდან საპატიო სტუმრების სტატუსით მიწვეულნი იყვნენ პოეტი ტარიელ ხარხელაური და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი სოსიაშვილი. ლიტერატურული ფესტივალის დაჯილდოვების ცერემონიალს ტრაპოზონის მერმა მურათ ზორლუოღლუმ უმასპინძლა, რომელმაც ფესტივალის ორგანიზატორთან, ესმა ალა თურქმენთან ერთად ტარიელ ხარხელაურს ფესტივალის უმაღლესი ჯილდო "პოეზიის ცოცხალი ლეგენდის" ორდენი გადასცა. ღონისძიებას ესწრებოდა ცნობილი ქართველოლოგი, არაერთი ქართული ნაწარმოების თურქულ ენაზე მთარგმნელი პროფ. ჰარუნ ჩიმქე. ტრაპოზონის მერმა მურათ ზორლუოღუმ მადლობა გადაუხადა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფ. გიორგი სოსიაშვილს, ტრაპიზონის საერთაშორისო ლიტერატული ფესტივალის მხარდაჭერისთვის, მისი თქმით თურქეთის და საქართველოს კულტურული ურთიერთობის გაღრმავების თვალსაზრისით ასეთი აქტივობების განხორციელება ძალზე მნიშვნელოვანია და მსგავს ღონისძიებებს ტრაპიზონის მერიის მხრიდან აუცილებლად ექნება ხელშეწყობა. მან დიდი პატივისცემა გამოხატა ტარიელ ხარხელაურის მიმართ, რომლის სახელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა ფესტივალს.

დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ქართულ დელეგაციას ტრაპიზონის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტზე უმასპინძლეს",- ნათქვამია ინფორმაციაში.

მსოფლიო ჩემპიონატის მედალი მალე დედოფლისწყაროში იქნება

ნიკა ჩიტიშვილი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია

10-13 ნოემბერს რუსეთის დედაქალაქში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ხელჩართულ ბრძოლებში. აღნიშნულ ტურნირზე დედოფლისწყაროს უშუს გუნდში აღზრდილი ნიკა ჩიტიშვილიც მონაწილეობდა (**მწვრთნელი გიორგი ცისკარაული**). ტურნირში, სადაც 30 ქვეყნის ორასზე მეტი სპოტსმენი მონაწილეობდა, ჩვენმა მებრძოლებმა ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.დედოფლისწყაროელმა ნიკა ჩიტიშვილმა სამი ბრძოლა გამართა და მესამე ადგილზე გავიდა. **„ჩვენთვის პირველი მსოფლიო დონის ტურნირი იყო. შევხვდი ალბანელ და ვენესუელელ სპორტსმენებს, რომლებსაც მოვუგე. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ბრძოლა ვენესუელელთან. დავმარცხდი, სამწუხაროდ, ყირგიზ სპორტსმენთან"**-ამბობს ნიკა ჩიტიშვილი, რომელმაც საქართველოს ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

ეს ნიკასთვის პირველი მონაწილეობა იყო მსოფლიო ჩემპიონატზე და პირველივეზე შეძლო მედლის მოპოვება, მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ნიკამ აღნიშნულ ტურნირზე შეძლო ალბანელი და ვენესუელელი მეტოქეების დამარცხება და მხოლოდ ნახევარფინალური ბრძოლა დათმო ყირგიზ მეტოქესთან. ნიკა ამჟამად ვარჯიშს თბილისში კლუბ "ვარიორსში" აგრძელებს-ამბობს გაზეთ "შირაქთან" საუბრისას მისი მწვრთნელი გიორგი ცისკარაული.

შეგახსენებთ, რომ 20 წლის ნიკა ჩიტიშვილი MMA - ში, უშუსა და კიკ ბოქსინგში ევრაზიის თასის მფლობელი, ევროპის ჩემპიონი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ასევე არაერთი რეგიონული და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია.



ამინდი

	ორშაბათი 22.11	სამშაბათი 23.11	ოთხშაბათი 24.11	ხუთშაბათი 25.11	პარასკევი 26.11	შაბათი 27.11	კვირა 28.11
დედოფლისწყარო							
დღე	12 °	6 °	4 °	5 °	8 °	9 °	9 °
ღამე	3 °	−2 °	−4°	-3°	-2 °	0 °	-1 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.